№ 51 მთავრობის ორგანო | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. | ხუთშაბათი, 4 მარტი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე 4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

## სახელმწიფო თეატრი
ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.
ხუთშაბათს, მარტის 4, ნინო კოშიცის მონაწილეობით
### ფაუსტი და ვალპურგიის ღამე
მონაწილეობენ: კოშიცი, ალჩევსკაია, როგაჩევსკი, ელიოზიშვილი, საბინინი. პარასკევს მარტის 5, „ქეთო და კოტე". შაბათს, მარტის 6, ოპერა მუშებისათვის „იოლანტა და ბალეტი". კვირას, მარტის 7, დილით „ევგენი ონეგინი". საღამოს ა. დემიანენკოს ბენეფისი 1. „კამორა", 2. „ბორის გოდუნოვი". მზადდება დასადგმელად ოპერა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" 261

## ტფ. ქალაქის თვითმართველობა
აცხადებს, რომ ამა წლის 6 მარტს დღის 1 საათზე თვითმართველობის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობები: 1) ქალაქის ქუჩების შესაკეთებლად საჭირო რიყის ქვის და სილის მიწოდების შესახებ; 2) ქალაქის ქუჩების საჭიროებისათვის ქვიშის (ღორღის) მიწოდების შესახებ; 3) საჯარო ვაჭრობით გაიცემა მუშაობა ქალაქის ქუჩების რიყის ქვით მოკირწყვლა. რიყის ქვა საჭირო იქნება 800 კუბ. საჟ. სილა—800 კუბ. საჟ. და ქვიშა 200 კ. საჟ. საჯარო ვაჭრობები მოხდება, როგორც პირადი აგრეთვე წერილობითი განცხადებით დახურულ კონვერტებში. საჭიროა ბეს წარდგენა ზემოდასახელებულ საჯარო ვაჭრობაზე თითეულზე 5000 მანეთი. ყოველგვარი პირობების და ცნობების გაგება შეიძლება სამმართველოს განყოფილების კანცელარიაში 12—2 საათამდის ყოველ დღე. 263

## ოფიციალური განყოფილება

დამატება № 1.

## მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცენტრალ დაწესებულებათა შტატი.

| №№ რიგზე. | თანამდებობის სახელწოდება. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | თვიური ჯამაგირი თითოს. | წლიური ჯამაგირი თითოს. | წლიური ჯამაგირი ყველას. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მანეთი. | | |
| | **I. მინისტრის საბჭო.** | | | | |
| 1 | საბჭოს წევრი | 4 | 5000 | 60000 | 240000 |
| 2 | მდივანი | 1 | 2500 | 30000 | 30000 |
| | სულ | 5 | — | — | 270000 |
| | **II. სამინისტროს კანცელარია.** | | | | |
| | **ა) კანცელარია:** | | | | |
| 1 | დირექტორი | 1 | 5000 | 60000 | 60000 |
| 2 | ვიცე დირექტორი | 1 | 4500 | 54000 | 54000 |
| 3 | მინისტრის მდივანი | 1 | 2500 | 30000 | 30000 |
| 4 | საინსპექტორო განყოფილების გამგე | 1 | 3000 | 36000 | 36000 |
| 5 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 6 | რეგისტრატურის გამგე (იგივე საქმის მწარმოებლის თანაშემწე) | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 7 | რეგისტრატორი | 4 | 1300 | 15600 | 62400 |
| 8 | კანცელარიის მოხელე | 2 | 1300 | 15600 | 31200 |
| 9 | მანქანით გადამწერი | 4 | 1300 | 15600 | 62400 |
| 10 | ეკზეკუტორი | 1 | 1700 | 20400 | 20400 |
| 11 | შიკრიკი | 8 | 1225 | 14700 | 117600 |
| | ჯამი | 25 | — | — | 516000 |
| | **ბ) საიურისკონსულტო განყოფილება.** | | | | |
| 1 | უფროსი იურისკონსულტი | 1 | 5000 | 60000 | 60000 |
| 2 | იურისკონსულტი | 2 | 3500 | 42000 | 48000 |
| 3 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 4 | მანქანით გადამწერი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 5 | იურისკონსულტი ქუთაისში | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 6 | საქმის მწარმოებელი ქუთაისში | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 7 | კანცელარიის მოხელე | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| | ჯამი | 8 | — | — | 265200 |
| | **გ) ბუხჰალტერია.** | | | | |
| 1 | უფროსი ბუხჰალტერი | 1 | 5000 | 60000 | 60000 |
| 2 | ბუხჰალტერ-ინსპექტორი | 1 | 4000 | 48000 | 48000 |
| 3 | ბუხჰალტერი მეორე ხარისხისა | 3 | 3500 | 42000 | 126000 |
| 4 | „ მესამე „ | 6 | 2500 | 30000 | 180000 |
| 5 | ზოლანგარიშე | 4 | 1800 | 21600 | 86400 |
| 6 | რეგისტრატორი | 2 | 1300 | 15600 | 31200 |
| 7 | მწერალი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 8 | მანქანით გადამწერი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 9 | მოლარე | 1 | 2500 | 30000 | 30000 |
| | ჯამი | 20 | — | — | 592800 |
| | **დ) წიგნთსაცავი და არქივი.** | | | | |
| 1 | წიგნთსაცავის გამგე | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 2 | არქივის გამგე | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| | ჯამი | 2 | — | — | 48000 |
| | სულ კანცელარიას | 60 | — | — | 1422000 |

1920 წ. თებერვლის 20-ს.
საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## განკარგულებანი

**მთავრობის საქმეთა სამმართველოსი.**

27 თებერვალი, 1920 წ., № 9.

მთავრობის საქმეთა მმართველობის ხაზინადარ-ეგზეკუტორი პავლე ისეს ძე ცინცაძე განთავისუფლებულ იქმნას სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა, ამა წლის პირველი მარტიდან.

27 თებერვალი, 1920 წ., № 10.

მთავრობის სახლის გამგის თანაშემწე ლევან ანტონის ძე ზოტიკაშვილი განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან თანახმად მისი თხოვნისა ამა წლის 1 მარტიდან.

მთავრობის თავმჯდომარე
ნ. ჟორდანია.

**გზათა დეპარტამენტისა.**

28 თებერვალი, 1920 წ. № 18.

**ინიშნება:** ინსპექტორად გზათა დეპარტამენტთან ინჟენერი ნიკოლოზ ლევანის ძე გვარამაძე ამა წლის 1 მარტიდან.

28 თებერვალი, 1920 წ. № 19.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან და გზათა დეპარტამენტში სამსახურიდან ინსპექტორი გზათა დეპარტამენტთან ინჟენერი ბერნარდ ბერნარდის ძე კაქინსკი ამა წლის 1 მარტიდან, თანახმად საკუთარი თხოვნისა.

№ 20

**მტკიცდება:** ლიანდაგის ნაწილის მე 2-ე უბნის უფროსის თანამდებობაზედ ინჟენერი ვასილ აგაფანგელის ძე ზელენინი ამა წლის 24 თებერვლიდან, ჯამაგირით თვეში 5.300 მან.

2 იანვარი, 1920 წ. № 21.

**მტკიცდება:** გზა-ტკეცილთა სამმართველოს მე 5 და მე 6 უბნის უფროსის თანამდებობაზე ინჟენერი ვ. ფ. ქურიარი ამა წლის 17 თებერვლიდან.

გზათა დეპარტამენტის
დირექტორი ჰეჰინაძე.

## არა ოფიციალური განყოფილება

## საგარეო საქმეთა მინისტრ ე. პ. გეგეჭკორის განცხადება

**დამფუძნებელი კრება, 2 მარტის სხდომა.**

ბათუმის ქალაქის არჩევნები საქართველოს რესპუბლიკის ბრწყინვალე გამარჯვებით გათავდა. (ხანგრძლივი ტაში) მიუხედავათ ათასნაირი დაბრკოლებისა, მიუხედავათ დამახინჯებული საარჩევნო სისტემისა, რომელიც აუტანელ პირობებში აყენებდა საქართველოს რესპუბლიკის მომხრეთ, 60 პროცენტმა ბათუმის მკვიდრთაგან ხმა მისცა პირველ ხიას, რომლის ლოზუნგი გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში შემოერთება ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქისა და ამნაირათ, ეს არჩევნები, რომელიც ნამდვილად ფორმალურად გახლდათ მუნიციპალური, არსებითად ნამდვილი პოლიტიკური პლებისციტი იყო. ამ პლებისციტმა, ბათუმის მკვიდრთა ნების ყოფამ აშკარად, საქვეყნოდ გახდა ის, რომ ბათუმი და მისი ოლქი წარმოადგენს განუყრელ ნაწილს საქართველოს რესპუბლიკისას, და თუ დღემდე უცხოელებს არ ქონდათ საკმაო წარმოდგენა ბათუმის ისტორიაზე და არ იყვნენ საკმაოდ გაცნობილნი ბათუმის ცხოვრების პირობებს, დღევანდელ პოლიტიკურ პლებისციტის შემდეგ არავითარ ეჭვებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. და ის ბორიოტები, საშინელი ისტორიული ბორიოტება, რომელიც ჩვენს ხალხს დაატყდა თავს ამ ორი წლის წინათ და რომელიც დღემდე ჩვენ და საბჭოთა... არ არის მოსპობილი, უნდა ვსთქვათ რომ ბოლოს მოეღება ამ ბორიოტ-მოქმედებას და ბათუმი და მისი ოლქი, მის სამშობლოს დაუბრუნდება.

ეს მეორე პლებისციტია. უკვე ... თვის წინათ მეჯლისმა აშკარად აღიარა თავისი სურვილი, რომ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს. და ბათუმის ახლანდელი პლებისციტი ამ ფაქტს ხელ მეორეთ აყენებს ევროპის და ჩვენს ხალხის წინაშე და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ განხორციელებას.

ნება მიბოძეთ მთავრობის სახელით განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ საქართველოს მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას მიიღებს, რომ ეს ნების ყოფა მთელი საქართველოსი სისრულეში იქნეს მოყვანილი (ტაში), ყოველნაირი დაბრკოლება, ყოველგვარი ცდა ამ ნების ყოფას, ამ სურვილებს მთელი საქართველოსი, როგორც ბათუმის ოლქში, ისე დანარჩენ ჩვენს ფარგლებში, ყოველგვარი დაბრკოლება ჩვენ მიერ ჩათვლილი არ იქნება. მე განმეორებით შემიძლია ვსთქვა, რომ დღეს, გვქონდა კიდევ ძალა და საშუალება გვეცადა სანამ ეს უსამართლობა გამოსწორებული იქნებოდა, მაგრამ დღეს დადგა ისეთი ჟამი, რომ ჩვენს მთავრობას არა აქვს ნება, არც პოლიტიკური, არც მორალური, თუ კი ხალხის ინტერესებს არ უღალატებს, რომ ეს ნების ყოფა არ შეასრულოს და მე ვაცხადებ, რომ ის თავის ვალს პირნათლად შეასრულებს. (ტაში).

აკაკი ჩხენკელი. ბათუმმა თავისი სიტყვა სთქვა, სიტყვა მოსალოდნელი, სრულიად ბუნებრივი ჩვენთვის, ხოლო შეიძლება ითქვას, რომ ეს სიტყვა არის დიდათ საყურადღებო, საგულისხმიერო სხვებისათვის. ამ სხვებმა დაივიწყეს, რომ ბათუმი ქართული ქალაქია, რომ ის სათავეში უდგას სამხრეთ საქართველოს, ამ ძუძველეს აკვანს ქართულ კულტურისა, სახელმწიფოებრივ შემოქმედებისა, მათ დაივიწყეს, რომ რუსეთის ძველი რეჟიმის დროსაც ბათუმი ქართველობდა. მუნიციპალური მართველობა ბათუმში შემოღებულ იქნა მე-80 წლებში და მას შემდეგ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის სათავეში არ ყოფილიყოს ქართველი ქალაქის თავი, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში ქართველი ხალხი დევნილი იყო თვით ფაბრიკა ქარხნებიდან, ნავთსადგურიდან, მიუხედავად ამისა ბათუმი მაინც ქართველობდა, მათ დაივიწყეს, რომ ბათუმი არის ერთგვარი წყარო ქართული მოქალაქეობისა, მათ დაივიწყეს, რომ საქართველოს დემოკრატია თავის მუშაობას იწყებს ბათუმიდან; დაივიწყეს—რამდენი მნიშვნელობა აქვს ბათუმს ჩვენი დემოკრატიის კულტურისათვის, მის გათვითცნობიერებისათვის, მათ დაივიწყეს—რამდენათ შესისხლორცებულია ბათუმი საქართველოსთან ეკონომიურათ, კულტურულათ, ეთნოგრაფიულათ და ყოველგვარად.

ბათუმში არჩევნები მოხდა მეტად მძიმე პირობებში, არჩევნები მოხდა, როცა საქართველოს ხელის უფლება იქ არ იყო, მოხდა მაშინ, როცა ის საოკუპაციო ქალაქს წარმოადგენდა. თქვენ იცით, მოქალაქენო, რომ ამ ზაგის დროს ასეთი ხასიათის არჩევნები მოხდა ევროპის ორ ქალაქში: ფიუმეში და ვილნოში. ფიუმეს ბედი არჩევნებმა გადაწყვიტა იტალიის სასარგებლოთ, მაგრამ იქ მაშინ იტალიის ჯარი იყო, ვილნოს ბედი გადაწყვიტა არჩევნებმა პოლონეთის სასარგებლოთ, მაგრამ იქ მაშინ პოლონეთის ჯარი იყო. ბათუმში არჩევნების დროს არ იყო ჩვენი ჯარი, მაგრამ ბათუმის საქმე მაინც ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა.

რას მოასწავებს ეს?

ეს არჩევნები ჩვენ გვიჩვენებს, რომ ჩვენს ერს არა მარტო ცენტრში, არამედ პროვინციაში, თვით პროვინციაშიც ახსოვს თავისი სახელმწიფოებრიობა, თავისი ნების ყოფა, იქ (ბათუმში და მის ოლქში) იყო შექმნილი არა ნორმალური, მუქარის ატმოსფერა, იქ იყო ანტი-სახელმწიფოებრივი, ანტი-სოციალური აგიტაცია, აი ამ პირობებში სწარმოებდა არჩევნები და ის შედეგები, რომელიც მივიღეთ ღირსშესანიშნავია.

საქართველომ არ იცოდა პოგრომები. თითქმის ყველა პატარა სახელმწიფოებში, რომელნიც აღმოცენდნენ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა დარბევა ებრაელების. ერ-

თად ერთი ქვეყანა, სადაც ამ დარბევას ადგილი არ ქონდა, ეს იყო საქართველო. ამ გარემოებას აღნიშნავდა დასავლეთ ევროპის პრესა. ბათუმში მოხდა დარბევა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზებით მოხდა, ჩვენ ეს მაინც დიდათ გვაწუხარებდა და არა ნორმალურ მოვლენათ მიგვაჩნდა.

არის მეორე გარემოებაც. ბათუმში ცხოვრების გაძვირების გამო ღარიბ ხალხს, დემოკრატიას არა აქვს საშუალება ბათუმს დაუბრუნდეს და იქ იცხოვროს. იქ არ არის ამ ჟამად ღარიბი ხალხი, დემოკრატია, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენს გამარჯვებას. იყო აგრეთვე სიების შედგენის დროს უწესოება. ბევრი ქართველი იქ ვერ მოხვდა. საჩივარი აღძრეს, მაგრამ ვერ შესძლეს ამ დაბრკოლების ძლევა. იქ იყო კურიალური არჩევნები. სამარცხვინოა დემოკრატიულ საქართველოსათვის იქ ასეთი არჩევნები ხდებოდეს. ჩვენ ყველაფერს ვაფუძნებთ დემოკრატიულ სულის კვეთებაზე, ჩვენ მუდამ ვიცავდით დემოკრატიულ პრინციპს არჩევნებისა, მაგრამ ფაქტიურად სხვა და სხვა ეროვნებანი იძულებული შეიქმნენ ამ კურიალურ არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა. მაშასადამე იყო დაბრკოლებანი, არაჩვეულებრივი პირობები, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ბათუმში გაიმარჯვა საქართველოს მთლიანობის პრინციპმა, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინეთ აღიარა სამუსლიმანო საქართველომ. სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია მთავრობის წარმომადგენლის განცხადება, რომ ბათუმის საკითხი წესრიგში სდგას. ეს საკითხი აუცილებლათ უნდა გადაიჭრას. ამ საკითხის შესახებ პრესაშიც იყო ლაპარაკი. ზოგიერთი მწერლები ბათუმის საკითხს საერთაშორისო საკითხად სახავდნენ, ბათუმის საკითხის საერთაშორისო საკითხად დაყენება ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის უარყოფას. ის მწერლები, რომელნიც ამბობდნენ, რომ ბათუმი საერთაშორისო ქალაქად უნდა დარჩესო მათ ავიწყდებათ, რომ, სანამ ისინი ბათუმში მივლენ, უნდა გაიარონ საქართველო და ეს ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობას, ამას ვერ მოითმენს საქართველოს მთავრობა, ამას ვერ მოითმენს დამფუძნებელი კრება. (ტაში).

ბათუმი არის ჭიშკარი, რომელიც გვაკავშირებს დასავლეთ ევროპასთან. მათ, ვისაც აინტერესებს ბათუმის საკითხი ევროპასთან ურთიერთობის დასაჭერად, ეს შინაური საკითხია და ეს შინაურულად გადაიჭრება და მათი კანონიერი მოთხოვნილებანი უთუოდ სახეში იქნება მიღებული. მე ვერ წარმომიდგენია სომხეთის და ადერბეიჯანის პასუხისმგებელი მოღვაწე, რომელმაც სთქვას, რომ ბათუმი საერთაშორისო ქალაქად უნდა დარჩესო და მე ვამბობ, რომ ბათუმის გამარჯვება არის არა მარტო მუნიციპალური, არამედ პოლიტიკური გამარჯვებაც, ჩვენთვის ეს სრულიად ბუნებრივია და ჩვენ იმედი უნდა გამოვსთქვათ, რომ ჩვენი მთავრობა მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ ბათუმის და მის ოლქის საკითხი ისე გადაწყდეს, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს უმაღლესი ინტერესი, საქართველოს სახელმწიფოებრიობა (ტაში).

**თავმჯდომარე:** სიტყვის მსურველი არავინაა მეტი, მე კენჭს ვუყრი სოც. დემოკრატიულ ფრაქციის მიერ შემოტანილ რეზოლიუციას.

ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა საგარეო-საქმეთა მინისტრის განცხადება ბათუმის მუნიციპალურ არჩევნებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მომხრეთა ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ, დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ ბათუმის მოქალაქეთა ეს საჯარო ვოტუმი ერთხელ კიდევ საქვეყნოთ ამტკიცებს ბათუმის და მისი ოლქის საქართველოს სხეულიდან განუყრელობას; გამოსთქვამს სრულ იმედს რომ საქართველოს მთავრობა დროზე მიიღებს ყოველნაირ ზომებს ამ ჩვენი ქვეყნის განუყრელი ნაწილის დედა სამშობლოსთვის დასაბრუნებლათ, და გადადის მორიგ საკითხზე“.

# შინაგან საქმეთა მინისტრის ბ-ნ ნ. რამიშვილის პასუხი

## დამფუძნებელი კრება, 1-ლი მარტის სხდომა

მოქალაქენო, დამფ. კრების წევრნო! როგორც მოსალოდნელი იყო ამ ჩვენ სამინისტროს გარშემო გაიმართა პარტიული ბრძოლა. მე ვამბობ პარტიული ბრძოლას იმიტომ, რომ, ის საბუთები, რომელიც აქ მოიყვანეს ჩვენს სამინისტროს მოქმედების დასახასიათებლათ, ყველა ეს საბუთები ამოკრეფილი არის იმ სალაროდან, რომელსაც ვიწრო პარტიული ელფერი აზის და რომ ეს ასე არის, მე ამის დამტკიცებას შევეცდები. (შ. ნუცუბიძე: რაღაცას ლაპარაკობს) თქვენ ნუ ელოდებით ბ. დეპუტატო, თუ ჩიწერილი ხართ, შეგიძლიანთ ილაპარაკოთ. აი პირველი. აქ ნათქვამი იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არის გადასახლების და დაპატიმრების სამინისტრო (შენგელაია: დიახ, წამების კიდევ; შ. ნუცუბიძე: თავდასხმა დაკიდებისა და გაროზგვისა) მომითმინეთ და მოგახსენებთ. პირველი კითხვა, რომელიც ჩვენს წინაშე დაისმის, ბ. ნუცუბიძე, არის შემდეგი: ვმოქმედობთ თუ არა ჩვენ თანახმად არსებული კანონებისა, და მე გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენს მოქმედებაში არსებულ კანონებისათვის ჩვენ ერთხელაც არ გადაგვიხვევია (შ. ნუცუბიძე: კერენსკის კანონის თანახმ და?) ჯერ ვმოქმედობდით კერენსკის კანონის თანახმად და შემდეგ თქვენ ალბათ იცით, რომ ნოემბერში იყო შემუშავებული კანონი. აი ერთი მუხლი ანარქიის საწინააღმდეგოთ მიმართულ დროებითი დეკრეტისა: „დროებით ანარქიასთან საბრძოლველათ მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება — გააძევოს საქართველოს საზღვრებიდან, ან აუკრძალოს განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრება, ან დააპატიმროს ყოველი პირი, რომელიც თავისი მოქმედებით ზიანს მიაყენებს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს, ან ცდილობს მის მთლიანობის დარღვევას, ან სიტყვით თუ წერილობით ეწევა აგიტაციას რესპუბლიკის წინააღმდეგ“.

მე ვამბობ, რომ ჩვენ ვმოქმედობდით არსებულ კანონების თანახმად, მაგრამ შეიძლება ჩვენ რევოლიუციის კანონები დაგვმეთ, როგორც აქ ლაპარაკობდნენ, გადუხვიეთ იმ კანონებს, რომლითაც ხელმძღვანელობს ყოველი რევოლიუცია. მე ერთხელ მქონდა საშუალება მომეყვანა თქვენს წინაშე ის დეკრეტები, რომელიც კონვენტმა მიიღო, დღეს ამას გავიმეორებ, რადგანაც ესერების ფრაქცია გულმავიწყი არის. (ვის წინააღმდეგ იყო ეს დეკრეტი მიღებული? — ლ. შენგელაია) სწორედ იმათ წინააღმდეგ, ვინც თქვენსავით ანარქიას უწყობდა ხელს.

1793 წ. კონვენტმა გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმად რევოლიუციონურ ტრიბუნალს მიენიჭა უფლება ძველი რეჟიმის ყველა მომხრეთა გადასახლების, მათი ქონების კონფისკაციის, ყველა საეჭვო პირთა დაპატიმრებისა (გვაზავა: ძალიან ძველია).

იმავე 1793 წ. კონვენტმა გამოსცა დეკრეტი მოქალაქეთა საერთო გაჩხრეკის შესახებ, კონვენტმა იმავე წელს დაადგინა, რომ ზემოხსენებული დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ ყველა საეჭვო პირები, რომელნიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან და თავისუფლებით სარგებლობენ, დაპატიმრებულ იქმნენ. ამ დეკრეტის მეათე მუხლი მთავრობას ნებას აძლევდა საპატიმროში გაეჩერებინათ ყველა საეჭვო პირნი, რომელთა წინააღმდეგ შეუძლებელი იყო გარკვეული ბრალდების დაყენება.

აქ განაცხადეს, რომ ეს დიდი რევოლიუციის ხანას ეკუთვნისო. მე მოგახსენებთ პარიზის კომუნის მოღვაწეობას. (ასათიანი: ისტორიიდან ამაზე მეტი ვერაფერი ვერ ამოკრიფეთ?). ამოვკრიფეთ ყველაფერი ის, რაც ამ ჟამად საჭირო არის რევოლიუციონური წესის დამყარებისათვის. (ვეშაპელი: რით გათავდა საფრანგეთში?) ეს გათავდა რესპუბლიკის განმტკიცებით. და აი მე მოგახსენებთ, რომ გადასახლებას და დაპატიმრებას მუდამ მიმართავდა პარიზის კომუნა 1771 წ. ვერსალის მთავრობის მომხრეთა მიმართ. ასეთი იყო რევოლიუციონური მთავრობის მოღვაწეობა. თქვენ ბ. შენგელაია და ნუცუბიძე, ვერც ერთ მაგალითს ვერ მოიყვანთ იმისას, რომ დაპატიმრებული ყოფილიყოს ისეთი პირი, რომლის დაპატიმრებას არ მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები. შეიძლება თითო ოროლა შემთხვევა იყო უსამართლოდ დაპატიმრებისა, მე ამას არ უარვყოფ, მაგრამ ეს არ იყო სისტემა, როგორც აქ ლაპარაკობენ. შესაძლებელია დაპატიმრება მოხდა ისეთი მძარცველებისა, რომელნიც ამა თუ იმ პარტიაში ირიცხებიან და მე ვამბობ, რომ არა მარტო ასეთი იყო პრაქტიკა რევოლიუციისა, არამედ ასეთი იყო სხვათა შორის დასაბუთება მე 19-ე საუკუნეში საუკეთესო რევოლიუციონერებისა; პრუდონისტებთან კამათის დროს კ. მარქსი შემდეგს სწერდა: (ნუცუბიძე: საგანზე, ბატონო), მე მგონია, რომ ბ. ნუცუბიძე უნდა იყოს მშიშარა, რომ ნამეტანს ჩქარობს და მე კი ვფიქრობ, რომ სწორედ ეს საგანს ეხება. თქვენ შემოიტანეთ წინადადება ბოლშევიკების განთავისუფლების შესახებ ეს მაშინ, როცა ბოლშევიკები ამზადებდენ ახალ ამბოხებას ჩვენს წინააღმდეგ, თუნდაც იმ პროვინციაში, რომელიც ჩვენი უნდა იყოს. (ლ. შენგელაია: თქვენ ყაჩაღები გაანთავისუფლეთ). ჩვენ განვათავისუფლეთ ისინი, ვისი განთავისუფლება დაადგინა დამფუძნებელმა კრებამ. აი კ. მარქსი სწერდა შემდეგს: „რევოლიუცია არის აქტი, რომლითაც მცხოვრებთა ნაწილი თავის ნებას ახვევს თავზე მეორე ნაწილს, თოფების, ხიშტების და ზარბაზნების შემწეობით... (ხმაურობაა: შ. ნუცუბიძე ღელავს).

**თავმჯდომარე:** მე ძალიან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არავითარი ღონე და ძალა არა მაქვს ნუცუბიძეზე რაიმე გავლენა მოვახდინო, თუ კიდევ განაგრძეთ ბ. ნუცუბიძევ ასეთი ყოფაქცევა, მე იძულებული ვიქნები გაგაძევოთ სხდომიდან (ილ. ნუცუბიძეც ღელავს და რეპლიკებს იძლევა, ხმაურობაა, რეპლიკა არ ისმის). გთხოვთ დაწყნარდეთ ბ. ნუცუბიძე ილია, ნუ ჩამაყენებთ ისეთ მდგომარეობაში, რომ რეპრესიულ ზომებს მივმართო; კეთილ ინებეთ და მოუსმინეთ ბ. მინისტრის სიტყვას,

**ნ. რამიშვილი** განაგრძობს: „გამარჯვებული პარტია იძულებული ხდება — სწერს მარქსი — განამტკიცოს თავისი ბატონობა იმ შიშის შემწეობით, რომელსაც იწვევს იარაღი რეაქციონერთა ბანაკში. პარიზის კომუნა, რომ შეიარაღებული ხალხის ავტორიტეტზე არ ყოფილიყო დამყარებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ, განა ისე ერთ დღეზე მეტს იცოცხლებდა? განა პირიქით, ის არ უნდა უსაყვედუროთ ჩვენ კომუნას, რომ მან ძალიან ნაკლებად გამოიყენა ეს ავტორიტეტი? მაშასადამე ანტიავტორისტებმა (ე. ი. პრუდონისტებმა) ან თითონ არ იციან რას ამბობენ — ამ შემთხვევაში აზრთა არევ-დარევას უწყობენ ხელს — ან იციან ეს და ამ შემთხვევაში ისინი ღალატობენ პროლეტარიატის საქმეს. ორივე შემთხვევაში ისინი რეაქციის საკეთილდღეოთ საქმობენ“. სწორედ ისე, როგორც სოც. რევოლიუციონერთა და აგრეთვე სხვა პარტიები და ეს მაშინ, როცა რამოდენიმე მოწოდება უკვე გამოვიდა და გამოსვლები მზადდება ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენი პოლიტიკას წინააღმდეგ იმ პროვინციაში, რომელიც ჩვენ უნდა გვეკუთნოდეს. (შენგელაია: თქვენი პოლიტიკის წყალობით) იმ ყაჩაღების წყალობით, რომელთაც მუდამ თქვენ იცავთ, აგრეთვე იმ ბოლშევიკების წყალობით, რომელთა განთავისუფლებას აქ თქვენ ითხოვდით, მზადდება იმ ფულით, რომელსაც გზავნის საბჭოთა მთავრობა. და აი ასეთ დროს თქვენ მოითხოვთ იმ სისტემის შეცვლას, რომელიც დაკანონებულია ჩვენს რესპუბლიკაში რევოლიუციის მთელი ისტორიით, როდესაც თქვენ ამას მოითხოვთ, თქვენ აკეთებთ რეაქციის საქმეს, უწყობთ ხელს იმ შავბნელ ელემენტებს, რომელნიც არიან განაპირა კუთხეებში, მაგ. აფხაზეთში. მართალია, ბ. შენგელაია, თქვენ შეეცადეთ გაგებათილებინათ ჩემი განცხადება, მაგრამ ეს ფაქტია, რომ თქვენი ამხანაგები შეუთანხმდენ იმ დამოუკიდებელთ, რომელნიც იბრძვიან საქართველოს წინააღმდეგ (შენგელაია: უბირია, ვინ არის?) ის კომისარია, სხვათა შორის სოც.-დემოკრატიის პარტიის წევრია, ხოლო თქვენი ამხანაგები შეუკავშირდენ კონტრ-რევოლიუციონერებს, ჩვენი რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთ, იმ მიზნით, რომ მოახდინოთ აქ გადატრიალება. (შენგელაია: ტუმარკინი?) ის ჩვენ გავაძევეთ და მე არც ის გამიკვირდება, რომ კიდევ დაგვჭირდეს ზოგიერთის გაძევება, მაგრამ თქვენ რომ ვერც ავანტიურისტს თავიდან ვერ მოიშორებთ, როდესაც გამოაშკარავდება მათი ავანტიურა, ეს ცხადია.

ამას მოითხოვდა და მოითხოვს ჩვენი ინტერესები დღეს. თქვენ გამოდიხართ იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც დაკანონებულია რევოლიუციით და რასაც გვიკარნახებს ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები, მე არ ვლაპარაკობ თითო ოროლა პირზე. ადვილად შესაძლებელია, დაპატიმრებულ იყოს ისეთი პირი, რომელიც არ არის დამნაშავე, მე წინდაწინ უნდა განვაცხადო, რომ შეუძლებელია ასეთი შეცდომებისაგან უზრუნველყოფილი ვიყოთ, არც სასამართლო არის ასეთ შემთხვევისათვის უზრუნველყოფილი, ხომ იცით, რომ ხდება ისეთი შემთხვევები, რომ ხანდისხან უდანაშაულო პირიც კი დაისჯება. ჩვენი სისტემა იყო შემდეგი: არა უბრალო მოქალაქე, რომელმაც რაიმე უბრალო სიტყვა წამოიძახა რესპუბლიკის, ან მთავრობის წინააღმდეგ, არამედ, რომელთაც მართლაც ჰქონდათ საშუალება ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდი ზიანი მოეტანათ, აი ამათ წინააღმდეგ არის ეს სისტემა მიმართული და სწორედ ამ გარდამავალ ხანაში, როდესაც სწყდება ჩვენი ქვეყნის ბედ იღბალი, სამუსლიმანო საქართველოს ბედი, ამ შემთხვევაში გამოსვლა იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც შექმნილი არის არა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, არის გამოსვლა არა სამინისტროს წინააღმდეგ, არამედ მთელი დემოკრატიული რესპუბლიკის და რევოლიუციონური დემოკრატიის წინააღმდეგ. აქ ლაპარაკობენ ადმინისტრაციის შესახებ. მე უნდა მოგახსენოთ, რომ თავიდანვე ჩვენი მიზანი იყო ადმინისტრაციის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დაგვეყენებინა. ეს შეიძლებოდა არა მაშინ, როცა სავსებით ცენტრი განაგებდა ამ საქმეს, არამედ მაშინ, როდესაც ადმინისტრაცია იქნებოდა ადგილობრივ თვითმართველობათა ხელში. ეს ჩვენ შევასრულეთ და სწორედ მის შემდეგ, რაც ადმინისტრაცია გადაეცა ადგილობრივ თვითმართველობებს, მე კატეგორიულად უნდა განვაცხადო აქ, რომ ჩვენი ადმინისტრაციის საქმე გაცილებით უკეთეს პირობებში არის ჩაყენებული. მის გაჯანსაღებას დიდი ნაბიჯი ატყვია. მე არ მინდა განვაცხადო, ამის თქმა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ხდება რაიმე ბოროტ მოქმედება, მაგრამ, უმაღლესი მთავრობა, სამაზრო ერობები და აგრეთვე ქალაქის თვითმართველობანი ყოველგვარ ამ ბოროტ მოქმედებას სდევნიან, ეს ეჭვს გარეშეა.

არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ თუ მოხელემ თავის უფლებას გადაამეტა, რომ ამისთვის ანგარიში არ გაგვეწია და იმავ დღეს ვე ზომები არ მიგვეღო. მაგრამ აქ მეტი სთქვეს: აქ განაცხადეს, რომ ადმინისტრაცია ყაჩაღებთან არის დამეგობრებულიო, აქ მოიყვანეს ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობა, სადაც თითქოს ვიღაცას განუცხადებია, რომ ადმინისტრაცია ყაჩაღებთან მოღვაწეობს კონტაქტშიო. (შენგელაია — ეს ხმოსანმა განმიცხადა!) თუ ეს ასე იყო, თუ თქვენ ასეთი პასუხი მიიღეთ, თუ თქვენმა პარტიის წევრმა ასეთი პასუხი მიიღო, თქვენ დაუყონებლივ მოვალენი იყავით ან შეკითხვა შემოგეტანათ, ან დაუყონებლივ სამინისტროსათვის გეცნობებინათ, ეს რადგანაც თქვენ არ მოიმოქმედეთ, ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეს თქვენი განცხადება მართალი არ არის, სწორედ ისე როგორც მრავალი სხვა თქვენი განცხადებანი. (შენგელაია — თქვენ თითონ იცით!) თქვენ ლაპარაკობთ უსაბუთოდ, მე კი მაქვს საბუთები. აი რანაირათ სდევნის ჩვენი ადმინისტრაცია ყაჩაღებს, წარმოიდგინეთ, აი დუშეთის მაზრაში, რომელიც წინადაც ცნობილი იყო ყაჩაღებით. 1920 წლის განმავლობაში შეიპყრიათ 65 კაცი, მათ შორის ცნობილი ყაჩაღი მელაძე და სოლუაშვილი, რომლებიც მატარებელს დახვდნენ.

გასული წლის დეკემბერში და ამა წლის იანვარში დევნის დროს მოკლულ იქნა 10 ყაჩაღი. 28 თებ. შეპყრობილ იქმნენ მატარებლებზე თავდამსხმელნი მელაძის ამხანაგები არსენ ასლანაშვილი და ნონე გაბარაშვილი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მაზრა ძველი მთავრობის დროსაც განთქმული იყო ყაჩაღობით და სხვა და სხვა განსაკუთრებულ ზომებს იღებდენ ამ ყაჩაღების წინააღმდეგ (შენგელაია — ესეც ესერების ბრალია?..) ეს ესერების ბრალი არ არის, არის იმ ანარქიის ბრალი, სხვათა შორის, რომელსაც ჩვენში აწყობს სხვა და სხვა ბნელი და უპასუხისმგებლო ელემენტები და რომელსაც ესერები მუდამ მხარს უჭერენ. აი, მეორე მაზრა, გორის მაზრა 1919 წ. შეიპყრეს 54 ყაჩაღი. აი, მიწის ძვრის დროს გორში 15 კაცი იყო და არც ერთი არ გაქცეულა. აი ის ზუგდიდის მაზრა, სადაც დღემდე ესერები ბატონობდენ, იქ შეუპყრიათ 60 კაცამდე გასულსა და მიმდინარე წელში. ამათში 13 ცნობილი ყაჩაღი, ზოგიერთი იმათგანი არის ისეთი, რომელიც იმალებოდა 4, 5 და 10 წელიწადს. (ასათიანი — როგორც პარტიული შემადგენლობა ამ ყაჩაღებისა?) პარტიული შემადგენლობა თქვენ მოიკითხეთ, მე თქვენ გეკითხებით: მართლაც შესაძლებელი იქნებოდა ასეთი ენერგიული მოღვაწეობა ადმინისტრაციისა, თუ ის რამოდენიმეთ მაინც დაკავშირებული იქნებოდა ყაჩაღებთან? აქ განაცხადეს, რომ ერთ სოფელში, ლიაში, მილიცია ქეიფობდა ყაჩაღებთანო. ჩვენ ეს არ გაგვიგია, მაგრამ შეუძლებლად არ მიგვაჩნია და ამას ყურადღებას მივაქცევთ. შეიძლება მართლაც მოხდა ეს, მაგრამ ეს სისტემა არ არის, სრულიად უმნიშვნელო გამონაკლისია. ძველი წყობილების დროს უფრო იყო აკლებული ყაჩაღებით ზუგდიდის მაზრა, ვიდრე დღეს. სენაკის მაზრაში 60 ყაჩაღი დაუჭერიათ, აქ მათი სახელი და გვარები სწერია. 37 კაცი ქუთაისის მაზრაში და სხვა და სხვა. ეს იმას მოწმობს, რომ სინამ-

დვილეში მთავრობის მიერ მათ წინააღმდეგ სწარმოებს სასტიკი ბრძოლა, და არა იმის, რომ მათ ვინმე ეხმარება. აქედან შეგვიძლია გამოვიყვანოთ დასკვნა: იმ რეპრესიებმა, რომლის შესახებაც აქ ლაპარაკობენ, და რომელიც რევოლიუციონურმა რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო, მოუტანა არა ზიანი ჩვენ დემოკრატიას, ჩვენ რესპუბლიკას, არამედ შექმნა ისეთი პირობები, რომ მოწინავე სახელმწიფოების წარმომადგენელნი აქ იძულებული არიან განაცხადონ, რომ გასულ წელთან შედარებით ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა ჩვენმა რესპუბლიკამ მშვიდობიანობის დამყარების მხრივ. ბატონო შენგელაია, რევოლიუციონური მოღვაწეობა იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც შეიქმნება დემოკრატიული წყობილება, იგი რეაქციის მესვეურთ საჯიჯგნელათ არ მიუგდოთ. ეს მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც თქვენი ამხანაგები ბატონობენ. სწოდეთ იმ პოლიტიკამ, რომელსაც კერენსკი და თქვენი ამხანაგები აწარმოებდენ და რომელსაც ადგილობრივი მთავრობა უარყოფს, გამოიწვია ანარქია რუსეთში, ანარქია კი საუკეთესო ნიადაგია რეაქციის და ეს მოხდება რუსეთში დღეს თუ არა ხვალ, (შენგელაია: ორი წელიწადია ამას იძახით? არ მოხდა!) ბ. ნუცუბიძემ აქ შემდეგი ბრალდება წამოაყენა: მიაქვს სამინისტროს ანარქიასთან საბრძოლველად დიდ ძალი თანხა და კაცმა არ იცის მისი ანგარიში. მე აქ კატეგორიულად ვაცხადებ, და ამაში საბიუჯეტო კომისია და დამფუძნებელი კრებაც დარწმუნდება, რომ ანგარიშები ისეთი სისტემით და სისწორით სწარმოებს, რომ მე მოსურნე ვიქნები სხვა უწყებაშიაც ასევე სწარმოებდეს. (შენგელაია: კონტროლს ვკითხოთ!) დიახ, კონტროლიორს ვკითხოთ და ის დაადასტურებს ამას. თქვენ საერთოდ მიჩვეული ხართ, რომ ზეპირმე წამოისროლოთ ბრალდება, მაშინ კი იძულებული იქნებოდით ბრალდება უკან წაგელოთ.

ეხლა იმის შესახებ, რაც აქ სოც.-ფედერალისტების წარმომადგენელმა განაცხადა. ის ლაპარაკობს: თქვენ შექმენით ისეთი მდგომარეობა, რომ ფოსტა ტელეგრაფის მოხელეებს წაართვით სხვა და სხვა უფლებები და ჩააყენეთ ისეთ მდგომარეობაში, რომ მათ არ შეუძლიანთ თავისი მოვალეობის შესრულება. არასოდეს ეს მოსამსახურენი არ თხოულობენ მოხელეთა გადაყენების და მიღება დათხოვნის უფლებასაო. ეხლა წავიკითხოთ „ფოსტა-ტელეგრაფის ხმა“. აი იქ რა სწერია (კითხულობს) „ამ მხრივ მეორე ყრილობას დიდი მნიშვნელობა აქვს და მან კიდევაც უნდა გაამართლოს იმედები, უპირველესი მისი მოვალეობაა: მოსპოს კავშირში პარტიული კინკლაობა, დაუდვას კავშირს საფუძვლათ წესდება ისეთი, რომლის საშუალებით აღდგენილი იქნება მისი უფლებები, ე. ი. მუშა-მოსამსახურეთა მიღება, დათხოვნა—გადაყვანა, გადმოყვანა, ამაღლება თუ დამცირება უმთავრესად უნდა ეკითხებოდეს კავშირს. რასაკვირველია ამაში მიიღებს მონაწილეობას სამმართველოს ადმინისტრაცია იმდენათ, რამდენათაც ეს სამსახურის წესიერათ დაყენებისათვის საჭიროა. ამ მიზნით უნდა დაიდოს ადმინისტრაციასთან კოლექტიური ხელშეკრულება, სადაც მტკიცეთ უნდა იყოს განსაზღვრული ადმინისტრაციის და ორგანიზაციის უფლებები, ყრილობამ კავშირს უნდა მიანიჭოს უფლება ადმინისტრაციის კონტროლისა, ამასვე უნდა ჰქონდეს უფლება მოსთხოვოს ადმინისტრაციას უვარგის ადმინისტრატორთა გადაყენება.

(ნინიძე: თავისი რესპუბლიკა ჰქონიათ. ს. დადიანი—სწორედ ასე უნდა იყოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. გვაზავა—ეს შეცდომაა!) როგორც უნდა იყოს ეს, ამაზე მაშინ ვილაპარაკებთ, როცა დადიანი გამოვა და შეეხება ამ საკითხს. (ხმა—რკინის გზა?) პირიქით, როგორც რკინის გზის,—ისე საერთოდ პროფესიონალურმა კავშირებმა დაადგინა, არ ერეოდენ ადმინისტრაციის საქმეში. (ს. დადიანი —არც ადმინისტრაცია უნდა ერეოდეს პროფესიონალურ საქმეებში) დიახ, ამას უშლით ადმინისტრაციას, ის რასაკვირველია არ უნდა ერეოდეს პროფესიონალურ კავშირების საქმეებში. (ვეშაპელი—კონდუქტორის მიღება შეუძლიან რკინის გზის მინისტრს?) საქმე შემდეგშია: (შენგელაია—მაღლაკელიძე?) მაღლაკელიძე პასუხის გებაში არის მიცემული. ჩვენ არავის დავაფარებთ ხელს. (შენგელაია—ქუთაისის გუბერნიის კომისარი?) ქუთაისის გუბერნიის კომისარმა წარმოადგინა ყველა ანგარიშები, გარდა ერთი უმნიშვნელო ნაწილისა. აქ სთქვეს, რომ რამიშვილმა შესცვალა სამხედრო ფორმა და ხარჯი გასწიაო, თუმცა ეს ამ სამინისტროს არ ეხება, მაგრამ თქვენ სთქვით და მე უნდა შევეხო. ამ სამხედრო ფორმის მიღება, ეს კომისიამ იცის, მიღებული იყო. აუცილებელი გახდა ცოტაოდენი ცვლილების შეტანა და ეს ცოტაოდენი ცვლილება მიღებულ იქნა სამხედრო კომისიის მიერ. და ვინაიდან მეტის-მეტად დაგვიანდა და აქ დათარეშობდა უცხო სახელმწიფოთა სამხედრო პირები უცხო ფორმებში, მაშინ აუცილებლად საჭიროდ დავინახეთ, რომ შემოღებულ ყოფილიყო დამატებითი ცვლილება (შენგელაია: ბრძანება გაეცით?). ბრძანება გავეცი და ამაში ვაგებ პასუხს (შენგელაია: ამით დაარღვიეთ კანონი!). და ამ ბრძანების შედეგი იყო, რომ მართლაც მიეცათ ამ ოფიცრებს რამოდენიმე მილიონი მანეთი, მაგრამ ავანსის სახით, რომელიც შემდეგ გამოქვითული იქნება მათგან, თუ დამფუძ. კრება ამას არ მიიღებს. ეს მოხდა მაშინ, როცა ახალი მინისტრი ჩადგა, მაგრამ პასუხს მე ვაგებ.

დავუბრუნდეთ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას, რომლის წინააღმდეგ აქ სასტიკად გაილაშქრეს. თანახმად პროფესიონალ კავშირების დადგენილებისა, პროფესიონალური კავშირი არ უნდა ერეოდეს ადმინისტრაციის საქმეში. ხოლო ფ.-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირი, სწორედ წინააღმდეგს იზიარებს. ჩვენ მათ ვუთხარით: თუ თქვენ გსურთ პროფესიონალ კავშირების ინტერესის დაცვა, აი დიდი სასახლე (მუშათა სასახლე), მიბრძანდით და შეუერთდით მათ. პროფესიონალურ კავშირის დადგენილება ისეთია, რომ ისინი არ ერევიან ადმინისტრაციის საქმეში და ამ კავშირის დადგენილება წინააღმდეგი არის და ის ერევა ადმინისტრაციის საქმეში (ს. დადიანი: აშკარა უსამართლობას აწესებთ!). ისინი ეთიშებიან შეკავშირებულ პროფესიონალურ ოჯახს, ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ. მთავრობას, სამინისტროს არ სურს დაადგეს ბოლშევიკურ გზას, როდესაც საბჭოთა მთავრობამ ეგრეთ წოდებული მუშათა კონტროლი შემოიღო, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ცალ ცალკე წარმოების დარგები იმავე დარგის მუშებს გადაეცა. ჩვენ არ შეგვიძლია რომელიმე დარგი გადავსცეთ მუშებს, ეს იქნება მთელი დემოკრატიული წყობილების თავდაყირა დაყენება და მთავრობა და დამფუძნებელი კრება არავის არ მისცემს ნებას, რომ ეს დარგი ისე გადააქციოს, რომ იქ დემოკრატიას არ ჰქონდეს გავლენა (გვაზავა და კედია: მართალია!).

აქ ლაპარაკობენ, რომ ამ უწყებაში გამეფებულია ბიუროკრატიზმი და სწორედ ამიტომ არაფერი კეთდებაო. მე ეს ვერ დავინახე. აქ სთქვეს, რომ ადმინისტრაციის უფროსი არავის არ აძლევს ნებას კოლექტიური პეტიციით წარდგომისა, თუ ეს მართალი არის, მე დაუყოვნებლივ გავსცემ ბრძანებას, რომ ეს მოსპობილ იქნეს. ეს უკანონობათ მიგვაჩნია და ეს, რასაკვირველია, მოსპობილ იქნება. მაგრამ მე გადმოიცეს, რომ არ ეძლევათ უფლება გამოვიდენ განცხადებით ისეთ რამეზე, რაც სწორედ ამ დარგის მუშა-მოსამსახურეებს არ ეხებათ, ე. ი. რომ წარმოვიდგინოთ საქმე ეხება ქუთაისის მოხელეებს და მოვიდნენ ტფილისის ან სხვა რომელიმე დარგის მუშები და ჩაერიონ იმ დარგის საქმეებში, რომელთანაც საქმე არა აქვთ, ეს არის ახალი სახის პროტექცია, ეს მე სრულიად შეუძლებლათ მიმაჩნია.

აი რამდენათ არეულ-დარეულია აქ საქმე: აი სტატისტიკური ცნობები. გასული წლის იანვარში გადაუგზავნიათ უბრალო წერილები, ბანდეროლები და ჟურნალ-გაზეთები 527.382, ხოლო დეკემბერში 1.678.672; ფულიანი ბარათები იანვარში 8.774, დეკემბერში კი 20.778; შემოსავალი ფულიდა იანვარში 468.813 მ., ხოლო დეკემბერში 2.036.270 მანეთს (დადიანი: ბარაქალა იმ მოსამსახურეთ, რომლებმაც ასეთი რეჟიმის დროს ამდენის გაკეთება შესძლეს!). ჯერ თქვენ არ დაგიმტკიცებიათ რა რეჟიმი არის ეს რეჟიმი (დადიანი: ჩვენ ეს გითხარით). თქვენგან ჩვენ ის გავიგეთ, რომ ეს კავშირი არ სდგას მუშათა კავშირების ნიადაგზე. აი რამდენი ფ.-ტელეგრაფია: სულ არსებობდა ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 83 განყოფილება, ჩვენ გავხსენით 51, ახლო მომავალში გაიხსნება კიდევ თხუთმეტი. სიგრძე ტელეგრაფის ხაზისა არსებობდა 1996, ახლა გახსნილია 481, თქვენ იცით, რომ ჩვენში ტელეფონი სრულიად არ არსებობდა გარდა ქ. ქ. ქუთაისისა და ტფილისისა. ეხლა კი საერთო ხაზი უდრის—1163 ვერსს, თქვენი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, აი ასე არეულ-დარეულია საქმე ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში (უფლებები ბ. მინისტრო—დადიანი). გარდა უფლებებისა, ბ. დადიანო, არსებობს მოვალეობანი (ნ. ნიკოლაძე: გახსოვდეთ ეს!). ისინი ასრულებენ იმ საქმეს, რომელიც მათ დაკისრებული ჰქონდათ, თქვენ კი ლაპარაკობთ, რომ უწყებამ ჩაჰკლა მათი თვითმოქმედებაო. და თუ ეს მართალია, ბრძანეთ, როგორ გაკეთდება ამდენი საქმე? გაკეთებულია თითქმის იმდენი, რაც გაკეთდა ძველი მთავრობის დროს 120 წლის განმავლობაში.

ეხლა უფლებებზე. მე ერთხელ კიდევ კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ მოსამსახურენი ადმინისტრაციის საქმეებში ჩაერიონ. დანარჩენზე არ ვლაპარაკობ მაგრამ ვერავინ ვერ იტყვის, რომ მათი მოთხოვნილება, რომელსაც ჰქონდა სერიოზული საბუთი, არ დაგვეკმაყოფილებინოს. ასეთი შემთხვევა არ ყოფილა და რომ ისინი ერევიან ადმინისტრატიულ საქმეებში, აი მე მაქვს რამდენიმე მაგალითები ამის დასამტკიცებელი (კითხულობს დეპეშებს): აი მაგ., ზუგდიდში როგორ დეპეშას გზავნის კავშირის გამგეობა. ზუგდიდი, ფოსტის ათისთავს. შეეკითხეთ მოხელე წულაიას—სურს თუ არა იქნეს დანიშნული განყოფილების უფროსად ლიხაურში. შედეგი მაცნობეთ (ს. კედია: რევოლიუციონურ ნიადაგზე სდგას?). ეს რევოლიუციონური ნიადაგი არ გახლავთ. რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა ეს კაი ხანია უარყვეს. აი მეორე, ეგზავნება დ. ხობში განყოფილების უფროსს: მაცნობეთ, სურს თუ არა მოხელე დიფანავას იქნეს დანიშნული განყოფილების უფროსად ლიხაურში, და სხვა ასეთები. ეს ჩვენ სრულიად შეუძლებლათ მიგვაჩნია. თქვენ, ბ-ნო დადიანო, ბრძანებდით, რომ ამ კავშირს არ სურს ადმინისტრაციის დანიშვნის საქმეში ჩარევაო, იქ კი სწორედ ადმინისტრაციის დანიშვნას ითხოვენ. ეს კი არსებითად რეაქციონური მოვლენაა და ჩვენ ეს მიუღებლათ მიგვაჩნია. მე ამით იმის თქმა არ მინდა, რომ საცვებით გარკვეულია ჩვენი მოხელეთა უფლება მოვალეობა, ჩვენ მართლაც გადავწყვიტეთ შეგვედგინა ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთათვის განსაკუთრებული ინსტრუქცია შრომის სამინისტროსთან შეთანხმებით, მაგრამ ეს ჯერ ვერ მოხერხდა. შრომის სამინისტრო იმუშავებს კოლექტიურ ხელშეკრულებას და ის წარუდგენს დამფ. კრებას. მაშინ ეს სავალდებულო იქნება მთავრობისათვისაც. სოც.-ფედერალისტების წარმომადგენელს უკვირს, რომ დღემდე არ არ არის შემუშავებული დებულებები მილიციისა, ერობისა, და სხ. ჩვენ ჯერ არც ბიუჯეტი და არც კონსტიტუცია არ განგვიხილავს, არა იმიტომ, რომ ამის სურვილი არ ჰქონდა დამფუძნებელ კრებას, არამედ, როგორც მოგეხსენებათ ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოს მოწყობა, როდესაც სხვა სახელმწიფოებში შესაფერი მაგალითიც კი არ გვქონია, დიდ და ძნელ საქმეს წარმოადგენს, ამიტომ ვერც ერთ მთავრობას ნაკლათ ვერ ჩაეთვლება ეს გარემოება. ჩვენ ვიმუშავებთ მილიციის და საერობო დებულებებს და ვფიქრობთ, რომ ეს წარედგინება დამფუძნებელ კრებას შემოდგომის სესიაში. (შენგელაია: როდემდის იქნება დამფუძნებელი კრება?) იქნება მანამ, სანამ დამფუძნებელი კრება მოისურვებს. (შენგელაია: ცენტრალური კომიტეტის სურვილი?) ცენტრალური კომიტეტის სურვილი არაფერ შუაშია. რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომელიც აქ განაცხადეს, რომ ბოროტ-მოქმედებები ხდება და თქვენ ყურადღებას არ აქცევთო, მე კატეგორიულათ უნდა განვაცხადო, რომ სწორედ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ამ ბოროტ-მოქმედებებს, ეს იმით მტკიცდება, რომ ჩვენ უპირველეს ყოვლისა შევეცადეთ ადგილობრივ თვითმართველობის ხელში გადაგვეცა ადმინისტრაცია. ის შესაფერ ზომებს იღებს და გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ თუ მართლა გსურთ ფაქტების წამოყენება, ერთი რამ აუცილებლათ უნდა შენიშნოთ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბოროტ-მოქმედებას ყურადღება არ მიქცეოდა. იყო ზოგიერთი შემთხვევები, რომელშიაც ჯერ არ არის დამტკიცებული და მათ შესახებ გამოძიება სწარმოებს: აი თუნდაც არაქელა ოქრუაშვილის შესახებ გამოძიება სწარმოებს: ჩვენ არ ვიცით მართლა ჩაიდინა თუ არა მან დანაშაული, თუ არ ჩადენილა, ამას სასამართლო გამოარკვევს, არ ვიცით ისიც, იმმოხელემ მართლაც სცემა, თუ არა. ყოველ შემთხვევაში მას პასუხი მოეთხოვება თანახმად კანონისა.

აქ ნათქვამი იყო, რომ რამოდენიმე მაზრაში გყავთ ძველი მოხელეებიო. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ სადაც ისინი არიან, ყველგან ერობის მიერ არიან არჩეულნი, ალბად საერობო თვითმართველობა დარწმუნებულია, რომ ეს ხალხი გამოსადეგია დემოკრატიული წყობილებისათვის და თუ მართლაც ამას ფიქრობს, რა უფლება აქვს სამინისტროს ეს არჩეული პირები სრულიად უმიზეზოდ გადააყენოს. (შენგელაია: ფაჩულია ვისგან არის დანიშნული?) ტფილ. ქალაქის თვითმართველობის მიერ. (შენგელაია: კედია?) აი სწორედ რამოდენიმე დღის წინათ, გზათა დეპარტამენტის დირექტორი მეუბნებოდა, რომ როცა კედია მსახურებდა, რომ ის ინახავდა რევოლიუციონერებსო. (ვეშაპელი: თავშენახული კაცი ყოფილა). არ ვიცი თავშენახული იყო თუ არა, ყოველ შემთხვევაში ის არ გამოსულა ჩვენს წინააღმდეგ და რომ თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, ეს მან ბევრჯერ დაგვიმტკიცა (შენგელაია: მახარაძე?) ისიც თავის მოვალეობას ასრულებს. თქვენ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ საკმაო ხალხი არა გვყავს, არ არის ისეთი სახელმწიფო, რომელმაც არ გამოიყენოს ძველი მოხელეები, მაგრამ თქვენ პარტიაში დღესაც ირიცხება ანაკლიის აჯლები მამფორია, რომელმაც იმდენი დანაშაული ჩაიდინა, ააწიოკა მთელი დაბა, გამოიწვია ძარცვა-გლეჯა, ასეთი პირი თქვენ პასუხისმგებელ ადგილზედაც გყავთ. თქვენ ბევრჯერ მოსულხართ სამინისტროში და გითხოვიათ: არჩევნების დროს მაინც გაუშვითო. სწორედ თქვენი გამოსვლები უპირველეს ყოვლისა საარჩევნო კამპანიით იყო გამოწვეული. სამინისტრო არც ერთ დანიშვნის დროს არ ხელმძღვანელობს პარტიული თვალსაზრისით, ჩვენს სამინისტროში მე არ ვიცი არც ერთი სოციალ დემოკრატი, გარდა პირველი მდივნისა.

არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ჩვენ გაგვეცა ისეთი ბრძანება, რომელიც მოასწავებდა რაიმე ჩარევას ზუგდიდის არჩევნებში. ჩემი ამხანაგი ეუბნებოდა, რომ როცა მან გასცა ასეთი ბრძანება ზუგდიდის კომისრის მიმართ, რომ მივიღეთ ცნობა, თითქოს ადმინისტრაცია არჩევნებში ერევა და მე გიბრძანებ ადმინისტრაციამ სასტიკათ დაიცვას კანონი და კანონიერ ფარგლებს არ გადასცილდესო.

ჩვენ ერთხელაც არ ვცდილვართ, რომ ბოროტათ მოგვეხმარა ჩვენი უფლებები, მაგრამ თუ თქვენ მაინც ამბობთ, რომ ადმინისტრაცია, ერეოდაო, ეს იმიტომ, რომ თქვენ იქ არჩევნებში სასტიკად დამარცხდით. თქვენ ხშირად ლაპარაკობთ, რომ 105 დეპუტატი იმიტომ არის, რომ ადმინისტრაცია იღებდა არჩევნებში მონაწილეობასო, მაგრამ ამის დასამტკიცებლად თქვენ ვერც ერთი მაგალითი ვერ მოიყვანეთ და ვერც მოიყვანთ, ხოლო თუ იქნება რაიმე გადამეტება უფლებისა, ყოველ შემთხვევაში ასეთ ადმინისტრაციის წინააღმდეგ ვლებულობთ და კიდევაც მივიღებთ საჭირო ზომებს. თქვენ ილაშქრებთ ადმინისტრაციის წინააღმდეგ იმიტომ, რომ მას გინდათ გადააბრალოთ თქვენი დამარცხება. ეს თქვენ ვერ შესძლეთ ვერც წინეთ და ვერც დღეს. დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგშიაც ვერ შესძლებთ მოაჩვენოთ დამფ. კრებას ადმინისტრაცია ისეთ ორგანიზაციათ, რომელიც ცდილობს კანონიერების მოსპობას და მის მაგიერად თვითნებობის გამეფებას. (ტაში)

---

# მიწის ძვრა

### საგანგებო კომიტეტში.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის საგანგებო კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა:

ეთხოვოს სახაზინო რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობას თავისი წარმომადგენელი წარმოგზავნოს მთავრობის საგანგებო კომიტეტში.

—

ეცნობოს საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურს საბჭოს, რომ მას შეუძლიან მოაწყოს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების საქმე თავისის ფირმით, მხოლოდ მთავრობის საგანგებო კომიტეტის და მისის გორის რწმუნებულის ექიმ ზანდუკელის საერთო ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით, ხოლო შეწირულებათა მოგროვება—მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა მთავარ დამხმარე ბიუროსთან შეთანხმებით და მისის საკვიტანციო წიგნაკებით. ყველა შეგროვილი შეწირულება უნდა გადაეცეს ბიუროსვე.

—

წინადადება მიეცეს რწმუნებულს ჩიკვაიძეს მოაწყოს ევაკუაცია ტფილისში დაბინავებულ დაზარალებულთა, ვისაც არა აქვს საკუთარი ბინა, სიღნაღში, თელავში, ბორჯომში და სხვა პუნქტებში, სადაც მომზადებულია ბინები და სანოვაგე. იქვე მოეწყოს ევაკუაცია ტფილისის სავადმყოფოებიდან გამოწერილ ავადმყოფებისა.

—

დედობის და ბავშვების მფარველ საზოგა-

დოების გამგეობის წინადადება მიღებულ იქნას და დაევალოს ხსენებულს საზოგადოებას ქ. გორში და გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ბავშვების მოვლა პატრონობის საქმის მოწყობა.

—

მიეწეროს კომიტეტის რწმუნებულს ექიმს ზანდუკელს დაურიგოს გორის თვითმართველობის მოხელეებს თებერვლის ძირითადი ჯამაგირი. ამასთან ერთად წინადადება მიეცეს გორის ქალაქის თვითმმართველობას უკიდურეს მინიმუმამდე შეამციროს მოსამსახურეთა შტატები და ამ განკარგულების შესრულება დაუყოვნებლივ აცნობოს კომიტეტს.

—

კომიტეტის საქმეთა მმართველის მოხსენების თანახმად, კომიტეტის დაუდგენელად, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის და კომიტეტის წევრის ვ. გომართელის დასტურით უკვე გაიგზავნა გორში ფოტოგრაფი კოზაკი, რომელიც მოითხოვს სურათების გადიდებაში შემდეგს სატასურს (ნეგატივების კომიტეტის საკუთრებად გადაცემით): სურათი 12 16½ ს. გადიდება 300 მან., დაბეჭდვა 75 მან., 18—24 ს.—გადიდება—450 მან., დაბეჭდვა 100 მან. ფოტოგრაფს კოზაკს მიეცა ავანსად 10,000 მანეთი. ფოტოგრაფის კოზაკის გორის მაზრაში გაგზავნა დადასტურებულ იქნას და მის მიერ წარმოდგენილი პირობები მიღებულ იქნას.

## პროფ. კავშირებში.

### სეკრეტარიატის სხდომა.

საქართველოს პროფ. კავშირთა სეკრეტარიატმა მოისმინა თხოვნა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა ნივთიერ დახმარების აღმოჩენის შესახებ და დაადგინა შუამდგომლობა აღიძრას მთავრობის თავმჯდომარის წინაშე, რათა მიღებულ იქნას მხედველობაში უნივერსიტეტის ცხლანდელი უმწეო მდგომარეობა და დაეხმაროს საჭირო თანხით, რომ გაგრძელებულ იქნეს მეცადინეობა წლის ბოლომდე. „პროლეტართა ფონდიდან“ გადადებულ იქნა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის განკარგულებაში 100,000 მანეთი რომელიც უნდა განაწილებულ იქნას ომის მიერ დაზარალებულ სახალხო გვარდიელთა ოჯახთა შორის! დადგენილ იქნა აგრეთვე, რადგან ზოგიერთი წევრი სეკრეტარიატისა არ დადის ხშირად სხდომაზე, ასეთები თუ სამ სხდომას გამოსტოვებენ სრულიად ამოიშალონ წევრობის სიიდან და მათ ადგილას გამოწვეულ იქნეს მორიგი კანდიდატი.

## საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში

28 თებერვალს შესდგა საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც განხილული იყო მიწის ძვრასთან დაკავშირებული საკითხები. აზრთა-გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ მთელი ტეხნიკური საქმიანობა მიწის ძვრის გარშემო უნდა დაიყოს რამდენიმე ნაწილად:

1. დაზარალებულ ხალხის ბინებში მოთავსება; აშენება მათთვის საჩქაროდ დროებითი შენობებისა, სადაც დაცულ უნდა იქნეს, რამდენადაც მოხერხდება, სანიტარული და ჰიგიენური პირობები, რათა გადარჩენილი ხალხიც სხვა და სხვა მოსალოდნელ ეპიდემიურ ავადმყოფობებს შემუსრებლად არ შეეწიროს.

2. გეოლოგიური გამოკვლევა მიწის ძვრის ხასიათისა, შესწავლა მისი მიზეზებისა, ეფექტისა, შედეგებისა და ამასთან ერთად მდგომარეობის გათვალისწინება მომავალისათვის.

3. საკითხის ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ გადაწყვეტა, თუ სად უნდა აშენდეს ქალაქი და დანგრეული სოფლები: ძველ თუ ახალ ადგილზე.

4. გამოკვლევის შედეგების მიხედვით მიწის ძვრისაგან მედეგი შენობათა ტიპის გამომუშავება.

5. დანგრევა დაზიანებულ შენობებისა და ამასთან ერთად მასალათა დახარისხება.

6. გაშენება ქალაქისა და სოფლებისა შენობების გამომუშავებული ტიპის, ახალი გეგმისა და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

საზოგადო კრებამ აირჩია მიწის ძვრის კომისია, როგორც გაზეთში იყო უკვე აღნიშნული, რომელსაც ყველა არსებულ კომისიებთან კავშირის დაჭერა და საკითხის შესწავლა დაევალა. ამასთან ერთად აღინიშნა საჭიროება არსებულ კომისიებთათვის წუმაობის კოორდინაციისა, ვინაიდან შეუთანხმებელი და განმხოლოებული მოქმედება უნაყოფოდ ძალების დაქსაქსვას გამოიწვევს და, მაშასადამე, საქმეს მხოლოდ ზიანს მიაყენებს.

კომისიამ 2 მარტის სხდომაზე თავმჯდომარედ აირჩია ინჟ. მ. ყაუხჩიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად ინჟ. ვ. კაკაბაძე და მდივნად ინჟ. ვ. ავალიანი.

ამავე სხდომაზე გამოითქვა სურვილი მუშაობის წესიერ კალაპოტში ჩასაყენებლად ერთი ტეხნიკური ცენტრის ტფილისში და მეორეს—ადგილობრივ დაარსების შესახებ. კომისიამ აღიარა დაზარალებულ ადგილთა გეგმების და სხვა მასალების შეკრების საჭიროება, ძველი შენობების ტეხნიკური მხარეების და აგ-კარგიანობის გამორკვევა და სხვ.

კომისია შაბათს, 6 მარტს, მთელი თავისი შემადგენლობით მიემგზავრება დაზარალებულ ადგილებში სხვა და სხვა საკითხების ადგილობრივ გამოსარკვევად და შესასწავლად.

## რკინის გზაზე

ამ დღეებში ფოთში ჩამოსულმა ამერიკის გემმა ჩამოიტანა 480.000 ფ. ფქვილი, რომელიც უნდა გადატანილ იქნეს გუმბრამდე საქართველოს რკინის გზის ვაგონებით და ორთქლმავალით, შემდეგ კი დატვირთული ვაგონები მიდის ერევნამდე. მეორე გემის მოსვლის მოლოდინში, გემის დაცლა სასწრაფოდ ხდება, რისთვისაც ამერიკელებმა მოაწყვეს არტელი 200 კაცისაგან, რომლებიც მუშაობენ 4 ზედმეტ საათს. ამხ. „კოსმოსის“ გემ „სალუნტო“-დან გადმოტანილია საწყობებში ფართლეულობა და მიწის სამუშაო იარაღი 90 ვაგონი.

— 3 მარტს სადგ. სადახლოდან და ტფილისიდან გაიგზავნება განჯაში და ბაქოში [illegible] ვაგონი ლტოლვილი მუსულმანები.

### განცხადებანი

ტფილისის გარე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ზაქარია ვარდანაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებულ ვარდანაშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კანონთა კრებულის მე X ტომის, 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
240 1—1

ვ. ტ. ზაგრუს და მ. ი. წოვიანოვას რწმუნებული იოსებ ალექსანდრეს ძე ; ზაგრიევი აცხადებს, რომ სახელობითი აქციები ნახშირ-ტყვიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოების მიცემული მარიამ ტიგრანის ასულ ზაგრუს და მარიამ იოსების ასულ წოვიანოვას სახელზე დაკარგულად და გაუქმებულად ითვლება.
376 1—1

ნადეჟდა ანდრიას ასული ბურიოტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო შაქრის ბარათი № 3645. ბარათი გაუქმებულად ჩაითვალოს.
378 1—1

მაქსიმე გასიევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო—შაქრის ბარათი № 1997. ბარათი გაუქმებულად ჩაითვალოს. 379 3—1

მომრიგებელი მოსამართლე ქალ. ფოთისა იწვევს გარდაცვალებულის ბარბარე, (გიორგი) ურსასანი, ბახვა დოლიძის, ასული ლიფონავას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებული ლიფონავას დარჩენილ ქონებაზე კანონთა კრებულის მე 10 ტომის I ნაწილის 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში.
207 1—1

ლავრენტი შუკას ძე მიქაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა სასურსათო ბარათი მიღებული ქალაქის სასურსათო განყოფილებიდან № 25773. ბარათი გაუქმებულად ითვლება. 3—1

იაგორი არტემის ძე ანდრიანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო ბარათი № 22176, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

დაკარგულია სახლის დავთარი, მელიქოვის ქ. № 6, გ. ქ. სტეფანოვის გაუქმებულად ითვლება.
390 3—1

მიხეილ მაქსიმეს ძე სირბილაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქუთ. მაზ. სოფ. ფარახეტის კომისარიატიდან 9 დეკემბერს, 1919 წ. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
387 3—1

ლავრენტი ნესტორის ძე ამაშუკელი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შემდეგი საბუთები: 1) ეგადო პასპორტი, მიღებული შორაპნის მაზრის უფროსისგან № 26, 2) მეტრიკული მოწმობა, მიღებული სინოდის კონტორიდან და 3) ხელშეკრულებანი და სხვა და სხვა კვიტანციები. აღნიშნული საბუთების მპოვნელს სთხოვს დაუბრუნოს ყველა შემდეგი მისამართით: ვერის დაღმართი, სანთლის საქარხნო, ლავრენტი ამაშუკელს, წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთები გაუქმებულად ჩაითვალოს.
380 3—1

ქალ. ტფილისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სტეფანე კარაპეტის ძის მელქუმიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე მე X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში.
0107 1—1

კონსტანტინე ხვიჩარიონის ძე კილასონია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1) პასპორტი, ზუგდიდის მაზრის ყოფილ უფროსისაგან მიღებული 1912 წ. № 1. 2) პიროვნობის მოწმობა ზუგდიდის მილიციის უფროსისაგან მიღებული. 3) ნებართვა ბათუმში წასვლისა. 4) პარტიული ბილეთი. 5) საბუთები 75000 მან., რომელიც ჰქონდა ბეთ მიცემული ჯგირნაიაზე, კობახიძეზე და სხვა და სხვა პირებზე. 6) სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ბილეთი და სხვ. ვინც დამიბრუნებს ზემო მოხსენებულ საბუთებს მიეცემა ათასი მანეთი ჯილდოთ. მისამართი: ბათუმი, რესტორანი საქართველო ჩანთა კიკალიშვილს, ან ზუგდიდი კოსტა კილასონიას. ტფილისი, ანდრიევის ქ. № 21 ა. ყანჩაველს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად.
368 3—2

ელენე ვასილის ასული გრიცუკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებულ ქ. ხოლმის საპოლიციო სამმართველოდან პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
353 3—3

ოქრო ნიკოლოზის ძე კლიმიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ბერეზაშვილის გიმნაზიიდან მიღებული მოწმობა № 43. 23|X მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს.
355 3—2

მეიერ დანიელის ძე მანაშეროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და ვაჭრობის ნებართვა. აღნიშნული საბუთები გაუქმებულად ჩაითვალოს.
354 3—2

გრიგოლ ალექსანდრეს ძე ვართაპეტიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ახალციხის ქალაქის გამგეობიდან № 48. პასპორტი გაუქმებულად ითვლება.
382 3—2

მელიტონ ალექსის ძე გოგლიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1070 და პასპორტი მიღებული სოფ. ზვარეთის საზოგადოებიდან. საბუთები გაუქმებულად ითვლება.
360 3—2

ვლადიმერ ალექსის ძე ჩქარეული აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ქვემოხევის საზოგადოების კომისარიატიდან № 1874. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს.
350 3—2

დავით გიორგის ძე კობერიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამმართველოდან მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს.
351 3—2

სარქის არტემის ძე ვალადიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ქ. ახალქალაქის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
242 3—2

ნინო მიხეილის ასული ბუტილაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რუს კლასის დამთავრების მოწმობა, მიღებული ქალთა მეორე გიმნაზიიდან. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს.
384 3—2

ანგელ სოკრატისძე გიზი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა აზოვ დონის კომერციულ ბანკიდან 1916 წლ. დეკემბრის 13-ს მიღებული კვიტანცია № 7269/1146, რომ მიღებულია შესანახათ 5% ობლიგაციები ტფილ. ქალაქ. საკრედ საზოგადოებისა 20.000 მანეთის; აზოვ-დონის კომერციულ ბანკიდან მიღებული კვიტანცია ანგელ.ტ ბარბარე გიზის სახელზე 1916 წ. დეკ. 13, № 7267|1144, რომ მიღებულია შესანახათ 2 ბილეთი I შინ. მომგ. სესხ. №№ 11422|02 ტ 13785|40; 1 ბილეთი II შინ. მომგ. სესხ. № 1069/14 და 2 ბილეთი III საბან. მომგ. სესხ. №№ 06151|20 და 04014, კვიტანც № 7268-1145 ანა გიორგის ასულ გიზის სახელზე 1916 წ. დეკემბრის 13 მიღებული შესანახათ 1 ბილ, II სესხ, № 14321/40 და 2 ბილ. სააზ. შინ. სეს. №№ 07671-09 და 07671-09 და 07672-09
233 3—1

დაკარგულია 3 სულის სასურსათო ბარათი № 6227, მიღებული მე-5 სასურსათო უბნიდან ბარათი გაუქმებულად ითვლება.

არჩილ გიორგის ძე ჩიქოვანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქალაქის სასურსათო განყოფილებიდან მიღებული პურის და შაქრის სასურსათო ბარათები. ბარათები გაუქმებულად ჩაითვლება.
375 3—2

ვლადიმერ იოსების ძე მაჭავარია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა, მიღებული ახალსენაკის სოფ. თეკლათის ეკლესიიდან. და პასპორტი მიღებული სენაკის ერობიდან № 485. საბუთები გაუქმებულად ჩაითვალოს.
285 3—2

სპირიდონ ყარამანის ძე ფარგიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული მეფურნეთა ბიუროდან № 54. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება.

იაკობ ლაზარეს ძე ძამაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მე-8 უბნის კომისარიატიდან № 23,143 პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს
388 3—2

ნიკოლოზ გაბრიელის ძე სხირტლაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან № 855. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს.
362 3—2

ალექსანდრე ზაქარიას ძე იოსების ძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსის სამმართველოდან 24 თებ. № 792. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს.
367 3—2

ვასილ გრიგოლის ძე შიხაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ბაქოს საკონსულოდან მიღებული პასპორტი. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
370 3—2

ალი შამედ-ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სპარსეთის საკონსულოდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
371 3—2

ანტონ იაკობის ძე სამხრიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ეროვნ პასპორტი მიღებული ტფილისის სასამართლოს პალატასთან არსებულ სამოქნო საკრებულოდან 14 აპრ. 1916 წ. № 9 პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
381 3—2

ისაკ მარდახის ძე მოშიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მე-5 უბნის კომისარიატიდან პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
366 3—2

ნიკოლოზ იაკობის ძე ტერ-აკოფოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული გორის ქალაქის მილიციის სამმართველოდან № 278. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
372 3—2

ანოლინე ივანეს ძე ჯორბენაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ჩიბათის სამ. კომისრის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
284 3—2

## ტფ. ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 6 მარტს, შაბათს დილით 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე 1) საჯარო ვაჭრობა სამთვლიან ქალაქის დუქანზე, ვერის დაღმართზე და ბუტკაზე, ქვემო ნაწილში ალექსანდრეს ბაღში. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე. 262



რედაქტორის მოადგ. ალ. [illegible]